

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

2011 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

სტრატეგიული დოკუმენტები

- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მომზადების მოლაპარაკებებში სამინისტრო განისაზღვრა 2 თავზე – გარემოს დაცვა და კლიმატი - პასუხისმგებელ ორგანოდ. კლიმატის თავი უკვე შეთანხმდა და დაიხურა. გარემოს დაცვის თავში შეთანხმდა და დაიხურა 3 ქვეთავი. მოლაპარაკებები გაგრძელდება დარჩენილ 4 ქვეთავთან დაკავშირებით;
- მომზადდა და დამტკიცდა 2012-2016 წლების საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NEAP). პროგრამის მომზადების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე;
- მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის №907 განკარგულებით დამტკიცდა მდგრადი ორგანული დამბინძურებულების (მოდ-ები) შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის კონცეფცია;
- შემუშავდა და გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 9 დეკემბრის №ი-54 ბრძანებით დამტკიცდა 2007-2009 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება (SoE);
- მომზადდა “გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის–საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2012-2014 წლებისათვის” განათლების სამინისტროსთან ერთად.

საერთაშორისო ურთიერთობები

- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმ ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროსთან გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- მიმდინარეობს გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების გაფორმების პროცესი 14 ქვეყნასთან (ლიტვა, კვიპროსი, პოლონეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, შვეიცარია, პორტუგალია, კორეა, ყაზახეთი, კატარი, იაპონია და ჩინეთი);
- მომზადდა 11 საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციის განხორციელების ეროვნული ანგარიშები და წარედგინა შესაბამის სამდივნოებს;

- ჩატარდა დონორთა კოორდინაციის სექტორული შეხვედრები რვა თემაზე – ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, კლიმატის ცვლილება, ატმოსფერული ჰაერი, წყლის რესურსები, შავი ზღვა, ნარჩენები და კატასტროფები;
- ასევე ჩატარდა დონორთა კოორდინაციის ძირითადი შეხვედრა;
- შეიქმნა საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მრავალფუნქციური ელექტრონული ბაზა, რომელიც განთავსდა სამინისტროს ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასთვის.

საერთაშორისო შეხვედრები

- 19 – 21 სექტემბერს, თბილისში ორგანიზებული იქნა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) მცენარეთა კომიტეტის ევროპის რეგიონული შეხვედრა, შეხვედრის ერთერთი მთავარი თემა იყო თეთრყვავილას (*Galanthus woronowii*) ბოლქვებითა და ყოჩივარდას (*Cyclamen coum*) გორგლებით ვაჭრობის საკითხი (18 ქვეყნის 50 წარმომადგენელი);
- 23 სექტემბერს, თბილისში გაიმართა სამინისტროს მიერ მოწვეული ჰოლანდიელი ბიზნესმენების შეხვედრა საქართველოში თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზიების მფლობელებთან. მათ გაეწიათ კონსულტაცია მითითებული სახეობებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ვაჭრობისათვის საჭირო მოთხოვნების და ქმედებების შესახებ;
- 4-6 აპრილს, თბილისში ჩატარდა ხელფრთიანთა ევროპული პოპულაციების დაცვის შესახებ შეთანხმების (EUROBATS) მრჩეველთა კომიტეტის მე-16 შეხვედრა (43 ქვეყნიდან 60 წარმომადგენელი);
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (GIZ) დადებული მემორანდუმის საფუძველზე გარემოს დაცვის სამინისტროს და სხვა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხებზე ცოდნის გაღრმავების და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით მომზადდა და ჩატარდა სასწავლო სემინარები თემებზე:
 1. “მწვანე სამრეწველო პოლიტიკა I” (24-26 იანვარი);
 2. “მწვანე სამრეწველო პოლიტიკა II” (22–24 თებერვალი);
 3. „პროექტის დაგეგმვა და მართვა II“ (2-4 მაისი);
 4. “კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია I” (29 ივნისი – 1 ივლისი);
 5. “კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია II” (11–13 ოქტომბერი);
 6. “საერთაშორისო სემინარი – მწვანე ეკონომიკა, გერმანიის გამოცდილება” (31 ოქტომბერი – 4 ნოემბერი, ბერლინი, გერმანია).

დაცული ტერიტორიები

- მოეწყო სათაფლიის ტურისტული ინფრასტრუქტურა (3,5 მლნ. აშშ დოლარი BP-ის გრანტი) და ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნა 2011 წლის მაისის თვეში;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დასრულდა ვიზიტორთა ცენტრის რეკონსტრუქცია კავკასიის ბუნების ფონდის და საქართველოს ბანკის დაფინანსებით (150 000 ევრო) და გაიხსნა ვიზიტორთა მისაღებად;
- 2011 წელს 2010 წელთან შედარებით საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა 100%-იანი მატება - 302 360 ვიზიტორი დაფიქსირდა, რომელთა შორის 248 340 საქართველოს, ხოლო 53 295 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო.
- 2011 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთაგან შემოსული თანხები შეადგენდა 429 682 ლარს.
- სამინისტროსა და კავკასიის ბუნების ფონდს (CNF) შორის შედგა შეთანხმება ლაგოდების, ბორჯომ-ხარაგაულის, თუშეთის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფინანსური დახმარების შესახებ (საოპერაციო და მიმდინარე ხარჯები, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, 2011-2013 წწ.);
- ხელი მოეწერა ყაზბეგის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების განვითარებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ ფინანსურ ხელშეკრულებას სამინისტროსა და გერმანიის განვითარების ბანკს შორის (KfW, 4 მლნ ევრო).
- დაარსდა ჯავახეთის ეროვნული პარკი და მოხდა საზღვრების დემარკაცია. მიმდინარეობს ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის განვითარება და დამხმარე ზონის სოციო-ეკონომიკური პროექტების მომზადება (2, 25 მლნ ევრო, BMZ/ KfW);
- თუშეთის ადგილობრივი მოსახლეობა (21 ოჯახი), დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის, პოლიციისა და ამბულატორიის შენობები, სატყეო სახლი და 2 სარეინჯერო, ასევე 24 საოჯახო სასტუმრო და მეცხვარეთა 14 სადგომი აღჭურვილ იქნა მზის ბატარეების სისტემებით ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველსაყოფად (ჩეხეთის განვითარების სააგენტო, 250 000 აშშ დოლარი);
- მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობის პროექტი, მოდელის დანერგვის მიზნით (UNDP/GEF - 875 420 აშშ დოლარი);
- ევროკავშირის საკონსერვაციო პროექტის ფარგლებში (FFI/NACRES) ვაშლოვანსა და თუშეთში განხორციელდა მტაცებლების რეგულირების ხელშეწყობის ღონისძიებები, მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის პროცესში ჩართვა. ასევე განხორციელდა თუშეთის 8 სოფლისთვის სათავე ნაგებობიდან წყალმომარაგების სისტემების მიყვანა;
- მიმდინარეობს ევრაზიის პარტნიორობის ფონდის ფარგლებში კოლხური ხოხბის აღდგენის პროექტი ვაშლოვანში;

- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებსა და პან-პარკების ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულება - “1 მილიონი ჰექტარი ხელთუქმნელი ბუნება” – ინიციატივაში ლაგოდეხის ნაკრძალის გაერთიანების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს კონსერვაციას და მდგრადი ტურიზმის განვითარებას.
- განხორციელდა მშვიდობის კორპუსის მოხალისეების პროგრამა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე (ტურიტულ მომსახურებაში შესაძლებლობების განვითარება და ინგლისური ენის შესწავლა დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისთვის და საოჯახო სასტუმროების მფლობელებისთვის);

ნარჩენების მართვა

- ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ერთად მომზადდა “Twinning” პროექტი “სამინისტროს შესაძლებლობათა გაძლიერება საქართველოში ნარჩენების მართვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით”. პროექტი მოიცავს საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას და ჰარმონიზებას ევროდირექტივებთან, ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზის შექმნას და ნარჩენების მართვის ინსტიტუციონალურ გაძლიერებას (1 250 000 ევრო);
- ჰოლანდიის მთავრობის დახმარებით მომზადდა ამბროლაურის რაიონის სოფელ ურაეში და ლენტეხის რაიონის სოფელ ცანაში არსებული დარიშხანშემცველი ნარჩენების მართვა/კონსერვაციის ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო წინადადება. შემუშავდა ტექნიკური დავალება და განხორციელდა ადგილზე წინასწარი შეფასებები (750 000 ევრო);
- ჰოლანდიის მთავრობის დაფინანსებით დაიწყო პროექტების განხორციელება: “მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი მოწყობა ბორჯომის რაიონში” (1,2 მლნ ევრო) და “სამედიცინო ინფექციური ნარჩენების მართვა საქართველოში” (600 000 ევრო).

კლიმატის ცვლილება

- კლიმატის ცვლილების კონვენციის ფარგლებში შექმნილი კლიმატის მწვანე ფონდის მმართველ ორგანოში აღმოსავლეთ ევროპის განვითარებადი ქვეყნების ჯგუფისთვის საქართველოს ინიციატივით მოპოვებულ იქნა ერთი ადგილი, რომელსაც მომდევნო 3 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაიკავენ საქართველო. ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც კლიმატის მწვანე ფონდიდან ქვეყნებისათვის თანხების გამოყოფა განხორციელდება სწორედ მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით;
- “წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის კლიმატისადმი მდგრადი პრაქტიკის შემუშავება/დანეგვა მოწყვადი მოსახლეობის დასაცავად საქართველოში“- საპროექტო დოკუმენტის მომზადება და ადაპტაციის ფონდში წარდგენა. 2011 წლის 13 დეკემბერს ადაპტაციის ფონდის საბჭომ დაამტკიცა

პროექტი. პროექტის დაფინანსებას ადაპტაციის ფონდიდან შეადგენს 5,316,500 აშშ დოლარს;

- 2011 წლის ნოემბრიდან დაიწყო “გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების პროექტის“ განხორციელება, რომელიც დაფინანსდება გლობალური გარემოს დაცვის ფონდის მიერ, განმახორციელებელი ორგანიზაცია იქნება გაეროს განვითარების პროგრამა. დაფინანსების ოდენობაა 500,000 აშშ დოლარი;
- გლობალური გარემოს დაცვის ფონდმა დაამტკიცა პროექტი “საქართველოში ბიომასის პალეტების წარმოების და გამოყენების სტიმულირება“. პროექტის დაფინანსებაში გლობალური გარემოს დაცვის ფონდის გრანტია 925,000 აშშ დოლარი; პროექტის მიზანია ხელსაყრელი გარემოს შექმნა ბიომასის რესურსების (ხე-ტყის ნარჩენები, ნახერხი, თხილის ნაჭუჭი და სხვა) ფართო გამოყენებისათვის, რათა გაუმჯობესდეს ენერჯით ქვეყნის მდგრადი და ეფექტური უზრუნველყოფა, შეიზღუდოს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულება და ატმოსფეროში “სათბურის გაზების” ემისია.
- 2011 წლის სექტემბერში საქართველო 180-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მიძღვნილ საერთაშორისო კამპანიას შეუერთდა - „ჩააქრე ძრავი - გზა დაუთმე ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტს“.

ბიომრავალფეროვნება

- საქართველოს საზღვაო აკვატორიაში ხელოვნური რიფის მოწყობისა და წყალქვეშა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2011 წლის ივნისში სამინისტრომ განახორციელა გემის – კატარდა „ალექსანდრე ფაჩულიას“ ჩაძირვა. ეს ღონისძიება განისაზღვრა ზღვის ბიომრავალფეროვნების აღდგენის ხელშეწყობის საპილოტე პროექტად;
- მომზადდა ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორების აღწერის მეთოდოლოგიები, რომელთა მიხედვით, მონიტორინგის ეტაპობრივი განხორციელება დაიწყო 2012 წლის იანვრის თვიდან;
- დაიწყო საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP) განახლება. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან და მომზადდა მასალები NBSAP-ის განახლებული ვერსიის შესამუშავებლად, რომელიც შესაბამისობაში იქნება „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის (CBD) მხარეთა მე-10 კონფერენციაზე (ნაგოია) მიღებულ ათწლეულის მიზნებთან;
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველო ნომინირებულ იქნა „ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის (TEEB)“ სფეროს კვლევებში საპილოტო ქვეყნად. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამასთან (UNEP) ერთობლივად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოში აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით.

კატასტროფები

- განხორციელდა ჩეხეთის მიერ დაფინანსებული პროექტი “ამინდის ექსტრემალური პირობების მიმართ საქართველოს მზადყოფნის გაძლიერება”, რომლის ფარგლებში შექმნილია ჰიდრომეტეოროლოგიური გამზომი საშუალებები და განხორციელებულია სამონიტაჟო-საინსტალაციო სამუშაოები. მომზადდა პროცედურები 2 ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურის და 6 ავტომატური ჰიდროლოგიური საგუშაგოს ადგილებზე დასამონიტაჟებლად.
- 2011 წელს სტიქიის ექსტრემალურ ვაქტიურებასთან დაკავშირებით ადგილობრივი ორგანოებიდან თხოვნა სიტუაციის შეფასებაზე მოვიდა 12 მუნიციპალიტეტიდან, შეფასებული იქნა 171 დასახლებული პუნქტი, მომზადდა 52 დასკვნა 437 მოსახლეზე;
- საქართველოს მოსახლეობის სტიქიისაგან დაზარალებული იმ ოჯახების კატეგორიზაციის შეფასების მიზნით, რომელიც უნდა დაექვემდებაროს განსახლებას, მოხდა მონაცემების დაზუსტება 2003-2011 წლების პერიოდისათვის. ასევე ადგილებზე შესწავლით აღმოჩნდა რომ, მუნიციპალიტეტების მიერ რეგიონალური მართვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსადმი გადაგზავნილი მონაცემებიდან, რომელთა რაოდენობა 2000 აღემატებოდა, სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეთა გადაყვანას დაექვემდებარა 1451 ოჯახი;
- საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის დაკვეთით მომზადდა თბილისი-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალური ხაზის მოდერნიზაციის პირველადი პროექტირებისათვის წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიში ხაშური-თბილისის მონაკვეთზე;
- შპს „საქართველოს რკინიგზის“ დაკვეთით დანიურ კომპანია „COWI“-სთან ერთად ჩატარდა კვლევები ქ. თბილისის ფარგლებში არსებული რკინიგზის დერეფანში გეოეკოლოგიური სიტუაციის შეფასების მიზნით;
- მომზადდა ინფორმაციული ბიულეტენი – საქართველოში 2010 წლის სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობისა და მათი უარყოფითი შედეგების შესახებ და პროგნოზი 2011 წლის განვითარების ტენდენციების შესახებ.

გარემოს დაბინძურების მონიტორინგი

- ხორციელდებოდა ზედაპირული წყლის ხარისხის შეფასებას, რისთვისაც ხდებოდა სინჯების აღება საქართველოს 20 მდინარისა და 4 ტბის 41 წერტილში. აღებულ სინჯებში ლაბორატორიული კვლევებით განისაზღვრებოდა 35 ქიმიური და 3 მიკრობიოლოგიური პარამეტრი;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება ხდებოდა საქართველოს ხუთ ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი და ზესტაფონი 7 სადამკვირვებლო ჯიხურის საშუალებით. ისაზღვრებოდა რვა დამაბინძურებელი ინგრედიენტი. ფუნქციონირებდა

ატმოსფერული ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების მონიტორინგის სადგური აბასთუმანში;

- ყოველდღიურად საქართველოს 13 პუნქტში ისაზღვრებოდა ორგანიზაციების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრე.

ატმოსფერული ჰაერი

- ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით შემუშავდა პროექტი “ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სისტემა თბილისში”. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ატმოსფერული ჰაერის ახალი, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი, სადამკვირვებლო ავტომატური დაკვირვების სადგურის დამონტაჟება და ჰაერის ხარისხის სამოდელო სისტემის შემუშავება ქ. თბილისში;
- შემუშავდა და ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის ოქმის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ იქნა ოზონდამშლელი ნივთიერებების (წყალბადქლოროფტორნახშირბადების) მოხმარებიდან ეტაპობრივად ამოღების მართვის გეგმა (HPMP) 2011-2020 წლებისთვის.

წყლის რესურსები

- წლის ბოლოს დამთავრდა ევროკავშირის პროექტის ”ტრანსსასაზღვრო მდინარის მტკვარ-არაქსის მენჯემენტის II ფაზა” (2008-2011), რომლის ფარგლებშიც გარემოს ეროვნული სააგენტო აღჭურვილ იქნა ლაბორატორიული მოწყობილობით და წყლის ხარისხის მობილური გამზომებით, ასევე დაიწყო ზედაპირული წყლების ბაქტერიოლოგიური ანალიზების ჩატარება და ბიოლოგიური მონიტორინგი. დაიგეგმა და დამტკიცდა პროექტის III ფაზა;
- ევროკავშირის „წყლის ჩარჩო დირექტივის” მეთოდოლოგიის გამოყენებით შემუშავდა საპილოტო წყლის ობიექტების აუზებისთვის (მდ. ალაზანი, მდ. არაგვი, მდ. ხრამი-დებედა) „მდინარის აუზის მართვის გეგმების პროექტები;
- მომზადდა „ერთიანი საინფორმაციო სისტემა (GIS) მდ. ალაზანისთვის (საქართველო-აზერბაიჯანი) და მდ.ხრამი-დებედასთვის (საქართველო-სომხეთი);
- ყოველწლიურად მიმდინარეობს წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების №04-1-01 ფორმების დამუშავება. განხილულია 2010 წლის მონაცემების მიხედვით შედგენილი 773 წყალმოსარგებლე ობიექტის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა, რომლის მონაცემები დამუშავებულია სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით;

2012 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებები

საერთაშორისო შეხვედრები

- 29-31 მაისს თბილისში ბიომრავალფეროვნების კონვენციის (CBD) ფარგლებში საერთაშორისო შეხვედრის ჩატარება (სავარაუდოდ 60 მონაწილე, მაისი);
- 16-21 მაისს საქართველოში (თბილისი, ვაშლივანის, ლაგოდეხის და თუშეთის დაცული ტერიტორიები) კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) აღმასრულებელი საბჭოს წევრებისა და არსებული და პოტენციური დონორების სამუშაო ვიზიტი (სავარაუდოდ 25 მონაწილე);
- მაისში ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიების ორგანიზება;
- UNEP-თან ერთად მონრეალის ოქმის განხორციელების ხელშეწყობის საერთაშორისო სემინარის ორგანიზება აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნებისთვის (სავარაუდოდ 30 მონაწილე, ივნისი);
- თბილისში "ეკოსისტემებზე დაფუძნებული კატასტროფების რისკის შემცირება" – რეგიონული ტრენინგის ჩატარება (სავარაუდოდ 30 მონაწილე, ივნისი);
- ივლის-აგვისტო თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ყოველწლიური ფესტივალის ორგანიზება;
- ოქტომბერში მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება გარემოსდაცვითი განათლების შესახებ თბილისის დეკლარაციის 35 წლისთავის აღსანიშნავად.
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველო ნომინირებულ იქნა „ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის“ (TEEB) სფეროს კვლევებში საპილოტო ქვეყნად. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამასთან ერთობლივად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოში აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით. დაგეგმილია ამ თემაზე მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრის მომზადება;

გარემოსდაცვითი განათლება

- 2012 წელი გარემოს დაცვის სამინისტროს გამოცხადებული აქვს გარემოსდაცვითი განათლების წლად. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია გარემოსდაცვითი განათლების შესახებ თბილისის 1977 წლის დეკლარაციის 35 წლისთავის აღსანიშნავად მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება თბილისში და მთელი რიგი შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზება;

- საქართველოს გარემოსდაცვითი განათლების ეროვნული სტრატეგიის პროექტის და სამოქმედო გეგმის საბოლოო დოკუმენტის მომზადება დასამტკიცებლად.

დარგობრივი მიმართულებები

- კლიმატის ცვლილების კონვენციის ფარგლებში შექმნილი კლიმატის მწვანე ფონდის მმართველ ორგანოში აღმოსავლეთ ევროპის განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლად საქართველოს კანდიდატის არჩევის უზრუნველსაყოფად მოლაპარაკებების წარმოება;
- მაჭახელას ეროვნული პარკის დაარსება, ყაზბეგის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების განვითარება;
- არსებული ტურისტული და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის გაფართოება 500 000 ტურისტის მისაღებად;
- დაცული ტერიტორიებისთვის (ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლიჯვანის, თუშეთის, ლაგოდეხის, მტირალას, იმერეთის მღვიმეებისა და ალგეთის) მენეჯმენტის გეგმებისა და საოპერაციო გეგმების მომზადება;
- იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების (სათაფლიას და პრომეთეს მღვიმეები) მართვის და ეკოტურისტული სერვისების გაუმჯობესების მიზნით მომზადდება მართვის გეგმა;
- სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადება ტურისტული მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
- პრომეთეს მღვიმეში ნავით გასეირნების საწყლოსნო მონაკვეთის მოწყობა;
- სათაფლიას აღკვეთილში არსებულ შუშის გადასახედთან კაფეტერიის მოწყობა;
- დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ენდემური, იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი, ასევე გლობალურად მნიშვნელოვანი ფლორისა და ფაუნის სახეობების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და პოპულიარიზაცია;
- თუშეთის დაცულ ლანდშაფტში მცხოვრები მოსახლეობისთვის მზის ბატარეების სისტემების მოწყობა ცხელი წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად;
- ევროკავშირის 3 დირექტივის 199/31, 2008/98, 2006-21 გათვალისწინებით ნარჩენების მართვის ჩარჩო-კანონის მომზადება;
- 2012-2016 ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მომზადება ნარჩენების სეპარაციისა და რეციკლირების დანერგვის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტების დონეზე და საინვესტიციო საკითხების ჩათვლით;
- “სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა ბორჯომის რეგიონში, 35 000 მოსახლეზე“ (ჰოლანდიის მთავრობის გრანტი 1,2 მლნ ევრო);

- 2 სამედიცინო ნარჩენების ინსინერატორის დამონტაჟება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსათვის (ჰოლანდიის მთავრობის გრანტი 600 000 ევრო);
- ღარიშხანის შემცველი სახიფათო ნარჩენების შეგროვება (100 ტონა) ურავისა და ცანას საბადოებიდან, სარკოფაგის მშენებლობა და დასაწყობება (ჰოლანდიის მთავრობა 750 000 ევრო);
- საქართველოში აკუმულირებული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (მოდ - ების) გაუვნებელყოფის მიზნით იაღლუჯას ნაგავსაყრელიდან 250 ტონა ვადაგასული პესტიციდის გატანა უცხოეთში გასანადგურებლად (GEF/UNDP გრანტი 1 მლნ აშშ დოლარი).
- UNECE –ის პროცესის - “წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვაზე ეროვნული პოლიტიკური დიალოგი” განხორციელების ხელშეწყობა;
- GEF-UNDP პროექტის “მდ. მტკვარ-არაქსის აუზის ტრანსსასაზღვრო დეგრადაციის შემცირება” განხორციელების ხელშეწყობა.
- საინვესტიციო პროექტის – „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი თბილისში“ - ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ახალი, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი, სადამკვირვებლო ავტომატური ჯიხურის დამონტაჟება ვაშლიჯვრის დაკვირვების სადგურზე და ჰაერის ხარისხის სამოდელი სისტემის შემუშავება;
- საქართველოში მონრეალის ოქმის ვალდებულებათა შესრულების მიზნით ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარებიდან ეტაპობრივი ამოღების მართვის გეგმის შესრულების ხელშეწყობა.
- 20-მდე ავტომატური მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სადგურის და საგუშაგოს შექმნა, დამონტაჟება და გამართვა (ჩეხეთის მთავრობის გრანტი);
- ჰიდრომეტეოროლოგიური გამზომი საშუალების დამონტაჟება. მოსალოდნელი წყალმომარაგების მართვის და ჰიდრომეტეოროლოგიაში დისტანციური ზონდირების სატელიტური მეთოდის დანერგვა (ფინეთის მთავრობის გრანტი);
- ავტომატური ჰიდროლოგიური დანადგარის დამონტაჟება ალაზნის საპილოტო აუზში; (სლოვაკეთის მთავრობის გრანტი);
- ჰიდროლოგიურ-გეოდეზიური პორტატული და ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სტაციონალური გამზომი საშუალებებით მდ. რიონის აუზის დაფარვა; გაფრთხილება-განგაშის ავტომატური სისტემის დანერგვა;
- მდ. რიონის აუზში მაღალი გარჩევადობის ამინდის პროგნოზის მოდელის შექმნა და დანერგვა, დეტალური რიცხვითი მოდელით კოორდინატების მიხედვით;
- მდ.რიონის აუზში წყალდიდობა, მეწყერების და ღვარცოფების მიმართ განსაკუთრებით მოწყველად ადგილებზე პრევენციული სამუშაოების ჩატარება ბიოინჟინერიის მეთოდით.